

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა

და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ.ვანი თავისუფლების N65

23 დეკემბერი 2019 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე,

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, ეთერ ჭიჭინაძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტია 2020 წლის სოციალური პროგრამების განხილვის შესახებ.

მომხს: მიხეილ სვანაძე.

2. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: რამაზ არველაძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის სოციალური პროგრამები.

2020 წლისთვის დამტკიცდა 14 პროგრამა. „საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარების პროგრამა“ და „მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისა და 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთა დახმარების პროგრამა“ გაერთიანდა „ვეტერანთა დახმარების პროგრამად“, ხოლო „მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა“ და

„ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა“ გაერთიანდა „შშმ პირების დახმარების პროგრამაში“.

„ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამაში“ გასაცემი თანხები დარჩა იგივე, რაც 2019 წელს. პროგრამას დაემატა ერთი პუნქტი

სავალდებულოა ახალშობილი დაბადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღიდან განცხადების შემოტანამდე ან განცხადების შემოტანამდე ბოლო 180 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში.

„სამედიცინო დახმარების პროგრამაში“ შევიდა ცვლილება: სავალდებულოა ბენეფიციარი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო 60 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ასევე თუ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის მიერ ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 5000 ლარს, დახმარების ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარს დამატებული 5000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 10% - ით, არაუმეტეს 2000 ლარისა.

„მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“-ში შევიდა შემდეგი ცვლილება: პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური ასიგნებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში შესაძლებელია ბენეფიციარებზე ან სოციალურად დაუცველ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა პირებზე საჩუქრად გაიცეს საკვები პროდუქტები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე

მომხრე- 7

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N2

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ 2019 წელში ჩატარდა 10 კომისიის სხდომა. აქედან ერთი იყო რიგარეშე. სხდომებზე განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე